საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ულოცავს საქართველოს მოქალაქეებს ევროკომისიის გადაწყვეტილებას საქართველოსთვის კანდიდატი სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციას.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მადლობას უხდის ევროკომისიას, ევროკომისიის პრეზიდენტს ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს და გაფართოებისა და სამეზობლო საკითხებში ევროკომისარს ოლივერ ვარჰეის. მადლობას უხდის ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში და ევროკავშირის ელჩს საქართველოში პაველ ჰერჩინსკს მხარდაჭერისთვის.

პლატფორმა აქტიურად ჩაერთო და მონაწილეობდა ევროკომისიის 12 წინაპირობის შესრულების პროცესში. პარლამენტთან თანამშრომლობით პლატფორმის წევრ და არაწევრ არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში. საქართველოს პარლამენტთან ერთობლივი 2 კონფერენცია ჩატარდა, სადაც ინკლუზიურ გარემოში შესაძლებლობა ჰქონდათ ყველა აქტორს ემსჯელა 12 წინაპირობის შესრულების საკითხებზე.

პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა „მაუწყებლობის შესახებ“, მართლმსაჯულებისა და სხვა კანონპროექტების ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

პლატფორმამ ოქტომბრის თვეში ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი საქართველოს პარლამენტთან.

მადლობელი ვართ, რომ ევროკომისიამ ზემოთ აღნიშნული პლატფორმის მიერ ყველა გადადგმული ნაბიჯი პოზიტიურად ასახა მის ანგარიშში.

საქართველოს ევროვნული პლატფორმა გამოხატავს მზადყოფნას გააგრძელოს აქტიური მუშაობა ყველა აქტორთან 9 პირობის ეფექტური აღსრულებისთვის.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა კიდევ ერთხელ ულოცავს საქართველოს მოსახლეობას ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს ევროკავშირისკენ და იმედს გამოხატავს, რომ დეკემბერში ევროკავშირის წევრი ქვეყნები დაადასტურებენ ევროკომისიის რეკომენდაციას.